1 აპრილი

სამშაბათი
2025

დიდმარხვის ჟამის IV კვირა [IV], ი

ეზეკ 47,1-9.12; ფს 45; იო 5,1-16

აჰა, შენ განკურნებული ხარ; შეცოდავ იო 5,14

იესო ყურადღებას ამახვილებს ჩვენს
უძლურებაზე და, თუ რწმენით ვთხოვთ,
გვკურნავს. ასევე გვირჩევს საშუალებებს,
რათა აღარ "დავსნეულდეთ": მტკიცედ
დავემორჩილებით მის სიტყვას და აღარ
შევცოდავთ, აღარ დავშორდებით მას
– განმწმენდელ წყალს და ჭეშმარიტი
სიცოცხლის მომნიჭებელს!

2 აპრილი

ოთხშაბათი

2025

დიდმარხვის ჟამის IV კვირა [IV], ი

წმ. ფრანცისკე პაოლელი,
იტალიელი მეუდაბნოე +1507

ეს 49,8-15; ფს 144; იო 5,17-30

რომ უთხრა იმათაც, ვინც ბნელშია:
'გამოჩნდით!' ეს 49,9

მიუხედავად ისრაელის ხალხის ურწმუნოებისა, ღმერთი ადასტურებს მისიას, რისთვისაც აირჩია იგი: იყოს შუქი სხვა ხალხისთვის, გზა, რომლის მეშვეობითაც ის ყველას გააცნობს საკუთარ თავს. სინათლედ ყოფნა მათთვის, ვინც სიბნელეშია და არ იცნობს ერთ ღმერთს – მამას, ძეს და სულიწმიდას –, ესაა ახლა ეკლესიის და მისი თითოეული შვილის მისია. ეს მისია უნდა შესრულდეს მთელი ცხოვრებით, როცა ვანებებთ, რომ მოგვწვდეს და გაგვანათოს მოტევებით.

3 აპრილი

ხუთშაბათი
2025

დიდმარხვის ჟამის IV კვირა [IV], ი

გამ 32,7-14; ფს 105; იო 5,31-47

მოსესი რომ ელწმედეთ, მეცა მიწამებდით იო 5,46

იესო ეუბნება ამას ებრაელებს, რომლებიც არ იღებენ მის მოწმობას მამის მიერ გაგზავნის შესახებ. ისინი ამბობენ, რომ სწამთ წმინდა წერილების და მიჰყვებიან მოსეს ნათქვამს. მაგრამ ის ფაქტი, რომ ისინი არ იღებენ იესოს, იმის ნიშანია, რომ მათი რწმენა წმინდა წერილებში არ შეესაბამება სიმართლეს. წმინდა წერილი ხომ, სწორედ იესოს ცხოვრებაში სრულდება!

4 აპრილი

პარასკევი
2025

დიდმარხვის ჟამის IV კვირა [IV], ი

წმ. ისიდორე, სევილიის ეპისკოპოსი, ეკლესიის მოძღვარი +636

სიბრძ 2,1.12-22; ფს 33; იო 7,1-2.10.25-30

ეამო-ეცადოთ იესი, რათა დავრწმუნდეთ მის თვინიერებაში სიბრძ 2,19

შენი დიდებული ვნებით, იესო, შენ გვთავა-ზობ მშვენიერ მაგალითს: უკიდურესობამდე გამოსცადე, შენ შეინარჩუნე ღვთის ძის სული, ყოველთვის კურთხევითა და მიმტევებლით პასუხობდი. ჩვენც, ვინც ღვთის შვილების მშვენიერ სახელს ვატარებთ, იგივეს ვიზამთ, შენგან მივიღებთ ძალას, იესო.

5 აპრილი

შაბათი

2025

დიდმარხვის ჟამის IV კვირა [IV], ი

წმ. ბიკენტი ფერერი, ხუცესი, ესპანელი დომინიკელი +1419

იერ 11,18-20; ფს 7; იო 7,40-53

ანა ანიკითხავს ჩვენი რჯული ადამიანს, თუ წინასწარ არ მოუსმინა? იო 7,51

ასე რომ, ნიკოდემოსი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მღვდელმთავრებს და ფარისევლებს, რომლებიც არ უსმენდნენ იესოს, რადგან ისინი შურითა და სიხარბით იყვნენ სავსე, ძალაუფლებასა და სიმდიდრეს მოწყურებულნი. მათთვის იესო უნდა მომკვდარიყო! იესო, შენი სიტყვა მომცემს სინათლეს, რომ გავარჩიო ჩემი აზრები, ჩემი დამოკიდებულებები და ჩემი მოქმედებები, ვიცხოვრო ჭეშმარიტებაში და ამით ვიცხოვრო ნამდვილად.

6 აპრილი

კვირა
2025

დიდმარხვის V კვირადღე, «გ», [I], ი

ეს 43,16-21; ფს 125; ფილიპ 3,8-14; იო 8,1-11
(ან, "ა" წლის საკითხავები)

დარჩა მარტო იესო, და შუაში მდგომი ქალი იო 8,9

იესო დაგვაფიქრებს: როცა ვინმეს ბრალს
ვდებ, ვაკვირდები თუ არა საკუთარ
ცოდვას? გულწრფელად მსურს მივიღო
კეთილგანწყობისა და წყალობის მზერა,
რომელიც იესოს აქვს ყველას მიმართ?
შენი პატიების წყალობით, იესო, ცოდვილი
ქალი შეიძლება გახდეს დიდი წმინდანი:
ის შეძლებს ბევრს უამბოს ღვთის
სილამაზესა და სინაზეზე! რიღასთვის უნდა
დადანაშაულდეს ისევ?

7 აპრილი

ორშაბათი
2025

დიდმარხვის ჟამის V კვირა [I], ი

წმ. ჟან ბატისტ დე ლა სალ, ხუც., ქრისტიანულ სკოლათა ძმების დამაარსებელი +1719 რუანში

დან 13,1-9.15-17.19-30.33-62; ფს 22; იო 8,12-20

*თქვენ არ იცით, საიდან მოვდივარ
და საიდ მივდივარ* იო 8,14

იესო წარუდგენს თავს ფარისევლებს და ამბობს: „მე ვარ სამყაროს ნათელი“, მაგრამ ისინი ეწინააღმდეგებიან მას, სანამ გაიგებენ, რატომ ლაპარაკობდა ასე და არ ფიქრობენ მის მიერ აღსრულებულ სასწაულებზე მათ თვალწინ. მათ არ იციან იესოს წარმომავლობა და არც მისი ცხოვრების მიზანი. ჩვენ ვუსმენთ მას და გვესმის, რომ ის სიმართლეს ლაპარაკობს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის საუბრობს თავის და ჩვენს მამაზე!

8 აპრილი

სამშაბათი
2025

რიცხ 21,4-9; ფს 101; იო 8,21-30

მის ამ სიტყვებზე ბევრმა ირწმუნა იო 8,30

შენი სიტყვა და შენი მოწმობა მამისადმი სიყვარულისა და ადამიანებთან სიახლოვის შესახებ, იესო, იპყრობს თავმდაბალ და წრფელ გულებს. მაგრამ თუ თავმდაბლობა ღრმა და დაჟინებული არ არის, ჩვენ ვერ მოგყვებით. მოდი, სულო წმიდაო, ავაშენოთ ჩვენი ცხოვრება იესოს სიტყვაზე, რათა სამყარომ ირწმუნოს!

9 აპრილი

ოთხშაბათი
2025

დიდმარხვის ჟამის V კვირა [I], ი

დან 3,14-20.46-50.91-92.95; საგ: დან 3,52-56; იო 8,31-42

ძმა დემეტრე თბილელის გახსენება (+1321)

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, სამოქალაქო თანხმობისა და სამშობლოსათვის დაღუპულთა მოგონების დღე

მე იმას ვლაპარაკობ, რაც ჩემს მამასთან ვნახე იო 8,38

იესომ იცის, რომ ის მამის მიერ არის მოვლენილი. ის ამბობს იმას, რაც მისგან მოისმინა. ებრაელები, რომლებიც უსმენენ მას, უარს ამბობენ მის გამოცხადებაზე, როგორც ღვთის ძეზე, ისინი თავს აბრაამის შვილებად და ღვთის მიერ მიცემული დაპირებების მცველებად თვლიან. ეს ასე რომ იყოს, იმის ამოსაცნობად, რომ იგი ღვთისგანაა მოსული, რწმენა ეყოფოდათ, მისი სიტყვისა და მისი საქმეების წყალობით. მაგრამ ისინი უსმენენ საკუთარ თავს, სხვა “ღმერთს”.

10 აპრილი

ხუთშაბათი

2025

დიდმარხვის ჟამის V კვირა [I], ი

დაბ 17,3-9; ფს 104; იო 8,51-59

მე განმადიდებს ჩემი მამა იო 8,54

იესო, შენ მართლა გიყვარვართ, გინდა, რომ შენ მოგბაძოთ ქცევაში: ჩვენი ქმედებებისთვის ჩვენც შენსავით მოვიძიებთ მამის შთაგონებას და მოწონებას და ყველაფერს გავაკეთებთ მისი სიყვარულისთვის. ამ შემთხვევაში ჩვენ გულის სიმშვიდე არ მიგვატოვებდს მაშინაც კი, თუ კარს მოგვიხურავენ და ხელი მოგვეცარება.

11 აპრილი

პარასკევი

2025

დიდმარხვის ჟამის V კვირა [I], ი

წმ. სტანისლავი, კრაკოვის ეპისკოპოსი, წამებული, +1079 წ

იერ 20,10-13; ფს 17; იო 10,31-42

უფალია ჩემთანაა *იერ 20,11*

მეც, როგორც ეკლესიის შვილს, შემიძლია დარწმუნებით გავიმეორო წინასწარმეტყველის ეს სიტყვა. როდესაც მე "ვიბრძვი", რომ ვიყო ერთიანი იესოსთან და დავიცვა თავი კარჩაკეტილობისა და ჩემი ძმების მიმართ ჩივილებისგან, ის თავად, თავისი სახელის ძალით, "ჩემს გვერდით არის" და იმარჯვებს ჩემში!

12 აპრილი

შაბათი

2025

დიდმარხვის ჟამის V კვირა [I], ი

ეზეკ 37,21-28; საგ: იერ 31,10-13; იო 11,45-56

იმ დღიდან ეაღაწყვიტეს, მოეკლათ იესი იო 11,53

იესო, შენ იპყრობ მათ გულებს, ვინც მოწიწებით გისმენს და ადარებს შენს სიტყვებსა შენს საქმეებს. ვინც ამ გარჯაში ზარმაცობს და მხოლოდ საკუთარი თავი ახსოვს, მხოლოდ შენს მიმართ მტრულად განწყობილი იქნება და შენს სიკვდილს გადაწყვეტს. ასე იყო მაშინ და ასეა დღესაც. შეგვიწყალე, უფალო!

13 აპრილი

კვირა

2025

ბზობის კვირადღე, «ბ», [II], წ

[წმ. მარტინ I, პაპი, ყირიმში წამებული, +656]

ლკ 19,28-40; ეს 50,4-7; ფს 21; ფილიპ 2,6-11; პასიო: ლკ 22,14 - 23,56

ჟოჟველმა ენამ აღიარონს:
"იესო ქრისტე არის უფალი" ფილიპ 2,11

შენი მუდმივი სიყვარული ყველას მიმართ – განსაკუთრებით ჯვარზე –, იესო, ადიდებს მამას. მისთვის და მასთან ერთად იტანჯე და დაღვარე შენი სისხლი, უსაზღვრო მოწყალებით. მე მჯერა, რომ შენ ხარ უფალი, რომ შენს მზერაში ყველას მოგვიცავ: მინდა ყველას ვუთხრა ეს, რათა შენს წინაშე მუხლები მოიდრიკონ და იყონ შენნი!

14 აპრილი

ორშაბათი
2025

დიდი ორშაბათი [II], ი

(1.IV) წმ. ღირსი იოანე შავთელი, XI-XIIსს

ეს 42,1-7; ფს 26; იო 12,1-11

მართა ემსახურებოდა, ლაზარე კი მისი ერთ-ერთი თანამეინახე იყო იო 12,2

ვიწყებთ, ამ საიუბილეო წელსაც, უმშვენიერეს შვიდეულს იმ ოჯახის მზერით, რომელსაც უყვარს იესო. ვახშამი გაუწყეს და თითოეული მის სადიდებლად გასცემს ყველაზე ძვირფასს, რაც გააჩნია. მართა ემსახურება, ლაზარე მეგობრულ სითბოს უძღვნის, მარიამი კი ნელსაცხებელს, განსაკუთრებული სიყვარულის ნიშანს. იესო ღებულობს და აკურთხებს ყველაფერ ამას, ისევე როგორც დღეს თავის ეკლესიაში.

15 აპრილი

სამშაბათი

2025

დიდი სამშაბათი [II], I

(2.IV) წმ. გიორგი მაწყვერელი, IX-XIს

ეს 49,1-6; ფს 70; იო 13,21-33.36-38

ჩემი სამღიაღური ჩემს ღმერთთანაა ეს 49,4

ესაიას ეს სიტყვები წინასწარმეტყველებს იესოს სრულ მინდობას მამის ხელთ. სწორედ ამ მტკიცე ნდობის გამო, ურყევი იქნება, მიუძღვნას სიცოცხლე, თუნდაც იუდას ღალატისა და პეტრეს უარყოფის შემთხვევაში. იესოს სურს გააბრწყინოს მამის დიდება, აჩვენოს მთელი მისი სიყვარული ჯვარზე. დარწმუნებულია, რომ მამა მას ახალი სიცოცხლით დააჯილდოებს.

16 აპრილი

ოთხშაბათი
2025

დიდი ოთხშაბათი, [II], I

ეს 50,4-9; ფს 68; მთ 26,14-25

წმიდა მირონის კურთხევის წირვა თბილისში,
მარიამის ზეცად აღყვანების საკათედრო ტაძარში

რემი ზურგი მიგეცი რემს მცემელთ ეს 50,6

შენ, იესო, მიხვდი, რომ ეს არის ის, რაც მამას სურდა. ჩვენს გადასარჩენად შენ სთხოვე მას ძალა, რომ ესოდენ გიყვარდეს, მერე კი შენს სისხლიან ვნებაში მიიღე ყველაფერი: სილის გაწვნა, ფურთხი, ეკლის გვირგვინი, ლან-ძღვა, შეურაცხყოფა, დაცინვა... ყველაფერი იმისთვის რომ მის გულთან დაგვაბრუნო ჩვენ, რომლებმაც მას ზურგი ვაქციეთ. გმა-დლობთ, იესო!

17 აპრილი

ხუთშაბათი
2025

დიდი ხუთშაბათი, [ს], თ

გამ 12,1-8.11-14; ფს 115; 1კორ 11,23-26; იო 13,1-15

უფლის სერობის წირვა

ბოლოამდე შეიყვარა ისინი იო 13,1

იესო, ახლა ჩვენ მივხვდით: მთელი შენი ცხოვრება იყო თავის მიძღვნით სიყვარული: დაბადება, ტაძარში წარდგენა, ცხოვრება ნაზარეთში, ნათლობა იორდანეში, საზოგადოებრივი ცხოვრება, ვნება. ახლა შენ ასრულებ მას ჯვარზე ამაღლებით. გეთაყვანები და მადლობას გწირავ, მეც მსურს შენთან ერთად მიყვარდეს, შენი გულით.

18 აპრილი

პარასკევი

2025

წითელი პარასკევი, [ს], წ

ეს 52,13 - 53,12; ფს 30; ებრ 4,14-16; 5,7-9; იო 18,1 - 19,42

მძიმე მარხვის დღე. უფლის ჯვარზე სიკვდილის გასახსენებლად ამ დღის 15.00სთ-ზე ყველამ, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ, გამოყოს მდუმარებისა და ლოცვის დრო. შესაწირი წმ. მიწისთვის.

საუკუნო ხსნის მიზეზი შეიქმნა
ყველა მისი მორჩილისათვის, ებრ 5,9

გმადლობ იესო, შენი სიცოცხლისთვის, "სიკვდილამდე, და ჯვარცმით სიკვდილამდე დამყოლი", მამისადმი და მასთან ერთად ადამიანისადმი სიყვარულით სავსე სიცოცხლისათვის. შენ, ჩემთვის ჯვარცმული, ხარ სინათლე, მშვიდობა და ხსნა ყველგან და ყოველთვის. ჯვარზე შენგან ვსწავლობ სიყვარულს, შენი დაყოლით.

19 აპრილი

შაბათი

2025

დიდი შაბათი [ს]

საპასექო ღამისთევა, დდ, [ს], თ

უწყოდეთ, რომ საოცარებებს მოქმედებს უფალი თავისი ერთგულისათვის ფს 4,4

აღვნიშნავთ ჩვენი გამოსყიდვის იუბილეს, რომელიც ამ დღეებში სრულდება. მამა აკურთხებს და სასწაულებს ახდენს თავისი ერთგულისთვის, როგორც ეს გააკეთა იესოში მას შემდეგ, რაც მან სიცოცხლე მიუძღვნა სიკვდილამდე და ერთი შეხედვით სრულ წარუმატებლობაში, მესამე დღეს აღადგინა იგი, დაპირებისამებრ.

20 აპრილი

კვირა
2025

პასექის კვირადღე, უფლის აღდგომა
«გ», დდ, [ს], თ

საქმ 10,34.37-43; ფს 117; კოლ 3,1-4, ან, 1კორ 5,6-8;
იო 20,1-9, ან, ლკ 24,1-12

წელს დასავლეთის და აღმოსავლეთის საქრისტიანო
აღდგომას ერთად აღნიშნავს

**მარიამ მაგდალელი ხედავს, რომ ლოდი
გადაგორებულია სამარხიდან** იო 20,1

იესოს აღდგომის პირველ ნიშანს ხედავს მარიამ მაგდალელი. მის გულში ჯერ კიდევ ბნელა და ვერ ხვდება რას ხედავს. იესოს საფლავი ღიაა და ის იქ არ არის. სადაა? იესო სრულიად ახალ სიცოცხლეშია; ეს არის პირველი, ახალი სამყაროს დასაწყისი, რომელიც ჯერ კიდევ აღმოსაჩენია. მისი სიყვარული გვაგემებს მას! ალილუია!

21 აპრილი

ორშაბათი
2025

ორშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

[წმ. ანსელმი, კენტერბერის ეპისკოპოსი, ბენედიქტელი, ეკლესიის მოძღვარი, +1109]

საქმ 2,14.22-32; ფს 15; მთ 28,8-15

საფლავების სააღდგომო მონახულება

სიხარულით აღმავსებ შენი სახის წინაშე საქმ 2,28

როდესაც მე მივყვები იესოს ჯვრის გზაზე, უარვყოფ ჩემს ნებას, რომ შევასრულო მისი, მაშინ გავერთიანდები მასთან და მასთან ერთად განვიცდი აღდგომას. მე განვიცდი მის ცოცხალ ყოფნას, რომელიც სიხარულით მავსებს, თუნდაც დაღლილობის შუაგულში. გმადლობთ, იესო: მე შენში აღმიდგება სიცოცხლე. ალილუია!

22 აპრილი

სამშაბათი
2025

სამშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

საქმ 2,36-41; ფს 32; იო 20,11-18

უფალი ვიხილე! იო 20,18

ეს არის საუკეთესო სიახლე, რაც შეგიძლიათ მისცეთ მათ, ვინც გიყვართ: იესო ცოცხალია, მე "ვიხილე იგი". მას შემდეგ, როცა ორმა მღვდელმა დამასხა ხელები თავზე და ილოცა ჩემთვის, ვიგრძენი მისი სიყვარული და დიდი სურვილი გამიჩნდა, მემსახურა მისთვის. იმდენად ბედნიერად ვიგრძენი თავი, რომ ავცეკვდი მისთვის. ალილუია!

23 აპრილი

ოთხშაბათი

2025

ოთხშაბათი ბრწყინვალე შვიდდღეულისა [ს], თ

წმ. გიორგი, წამებული ლიდაში, პალესტინაში +303
(საქართველოში აღინისნება 23 ნოემბერს)
წმ. ადალბერტი, პრაღის ეპისკოპოსი, წამებული, +997 გდანსკის მიდამოებში, პოლონეთში

საქმ 3,1-10; ფს 104; ლკ 24,13-35

მ. დამიანე სააკაშვილის გახსენება (+1943)

მაშინ თვალი აეხილათ და იცნეს ლკ 24,31

ორმა მოწაფემ, რომლებმაც დიდხანს ია-
რეს და ესაუბრნენ იმ უცნობს, ახლა, მასთან
ერთად სუფრასთან, უცებ იცნეს იგი.
გმადლობთ, იესო, აღდგომის გამოცდილე-
ბისთვის, როდესაც აღმოვაჩინე შენი ყოფნა
ჩემს გვერდით, რომელიც გამომყავს გულგა-
ტეხილობის, იმედგაცრუებისა და სასოწარ-
კვეთილების სიბნელიდან, რათა ხელახლა
დავიბადო სიხარულში. ალილუია!

24 აპრილი

ხუთშაბათი
2025

ხუთშაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

წმ. ფიდელ სიგმარინგენელი, კაპუცინი, წამებული შვეიცარიაში, +1622.

საქმ 3,11-26; ფს 8; ლკ 24,35-48

მისი სახელით ნაქადაგები უნდა იყოს მონანიება ცოდვათა მისატევებლად ლკ 24,47

იესო, ჯვარცმულო და აწ აღმდგარო, სამუდამოდ ატარებ შენი დიდი სიყვარულის ნიშნებს. რით შემიძლია დაგეხმარო? მსურს გიპასუხო და შენს სამსახურში ჩავდგე.
გმადლობთ ასევე ყოველ ჯერზე, როცა შენი მსახურის ხმით მეუბნები: „მე გათავისუფლებ შენი ცოდვებისაგან მამის, ძისა და სულიწმიდის სახელით; წადი მშვიდობით!". ნამდვილად არ შემიძლია არ ვიმღერო: ალილუია!

25 აპრილი

პარასკევი
2025

პარასკევი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

[წმ. მარკოზ მახარებელი]

საქმ 4,1-12; ფს 117; იო 21,1-14

შვილებო, არა გაქვთ საჭმელი? იო 21,5

აღმდგარი იესო ხედავს მოწაფეებს ნავზე, იმედგაცრუებულებსა და მოწყენილებს. შეამჩნიე, რომ არ უკითხავს, ილოცეს თუ არა? რა დელიკატურია უფლის მიდგომა თავის მოწაფეებთანაც კი! ის მათ აგრძნობინებს, რომ დედასავით ნაზი სიყვარულით ზრუნავს მათზე.

26 აპრილი

შაბათი

2025

შაბათი ბრწყინვალე
შვიდდღეულისა [ს], თ

საქმ 4,13-21; ფს 117; მარ 16,9-15

ხოლოთ მათ, როცა მოისმინეს,
რომ ცოცხალია ... არ ირწმუნეს მარ 16,11

მოწაფეების ურწმუნოება უცნაურად
გვეჩვენება. არადა ... ესოდენ ხშირია!
ისინიც კი, ვინც ამბობენ, რომ სჯერათ,
კვლავ ეჭვობენ. ჭეშმარიტი რწმენა
მოდის უფლისთვის სიცოცხლის ძღვნით.
სინამდვილეში, არ არსებობს რწმენა
ქველმოქმედების გარეშე და არც ჭეშმარიტი
ქველმოქმედება რწმენისგან შორს.

27 აპრილი

კვირა

2025

პასექის II კვირადღე,
ღმრთაებრივი გულმოწყალებისა,
«ბ», [ს], თ

საქმ 5,12-16; ფს 117; გამოცხ 1,9-11.12-13.17.19; იო 20,19-31

ივლიტის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

შეუბერა მათ და უთხრა: მიიღეთ სულიწმიდა იო 20,22

ეს ახალი ქმნილებაა! შენი სიკვდილითა
და აღდგომით, იესო, შენ აღასრულე მამის
სიყვარული: ახლა, ცოცხალი გვიბერავ სულს
და ჩვენც გემსგავსებით, საყვარელ შვილე-
ბად, რომლებსაც შეუძლიათ შენი გულმო-
წყალების მიღება და მოქმედება. ვიმღეროთ
მადლიერებით: „თქვას ისრაელმა, რომ მისი
სიყვარული მარადიულია“! და თომასთან
ერთად სახალხოდ ვიტყვით, რომ შენა ხარ:
„უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“!

28 აპრილი

პასექის ჟამის II კვირა [II], თ

ორშაბათი
2025

წმ. ლუი მარი გრინიონ დე მონფორტი, ხუცესი, მონაზონთა კონგრეგაციის დამაარსებელი, +1716;
წმ. პეტრე შანელი, ფრანგი ხუცესი მარისტი, ოკეანიის პირველი წამებული, +1841 ფუტუნაში;
წმ. ჯანა ბერეტა მოლა +1962

საქმ 4,23-31; ფს 2; იო 3,1-8

ყველა აღიავსო სულიწმიდით საქმ 4,31

მარიამთან ერთად მოციქულთა მხურვალე ლოცვის შემდეგ, აი, სასწაულის სასწაული: ყველა ღებულობს ღმერთს, სულიწმიდის მატარებელ ნიჭს. და ისინი აცნობიერებენ ამას, რადგან აცხადებენ ღვთის სიტყვას და იძლევიან მას, როგორც ყველაზე ძვირფას სიმდიდრეს.

29 აპრილი

სამშაბათი
2025

წმ. ეკატერინე სიენელი, ქალწული, ტერციარი დომინიკელი, ეკლესიის მოძღვარი, +1380 რომში, ევროპის მფარველი, დ, თ

1იო 1,5 – 2,2; ფს 102; მთ 11,25-30

ისწავლეთ ჩემგან, ვინაიდან მე მშვიდი და თავმდაბალი ვარ მთ 11,29

გმადლობთ, იესო: შენთან სიახლოვეში გვიხმობ, მშვიდობის წყაროვ. შენ, ჩვენო ერთადერთო მოძღვარო, გსურს ვისწავლოთ თავმდაბლობა და თვინიერება, რაც საშუალებას გაძლევს ერთდროულად იყო მსახურიცა და უფალიც.
წმიდა ეკატერინემ იარა შენს სკოლაში! მან ასევე მიიღო შენგან შესაშური გამბედაობა, რომელიც ასევე აუცილებელია დღეს დაბნეულობისა და რწმენის საფრთხის ვითარებაში, რომელსაც ჩვენ ევროპაში განვიცდით.

30 აპრილი

ოთხშაბათი

2025

პასექის ჟამის II კვირა [II], თ

(17.IV) წმ. ეფრემ დიდი მაწყვერელი, IXს;
წმ. პიუს V, პაპი, +1572 რომში

საქმ 5,17-26; ფს 33; იო 3,16-21

ვისაც ის სწამს, არ ეანიკითხება

იო 3,18

რა კარგი ამბავია! იესოს რწმენა, ანუ
მისი დაყენება ჩვენი გეგმების შუაგულში,
გვიხსნის შინაგანი სიცარიელისაგან,
სიცოცხლის აზრის შეცნობის უუნარობისაგან.
ჩვენ მნიშვნელოვანი არჩევანის წინაშე
ვდგავართ: ან დავრჩეთ იესოსთან, თუნდაც
მსხვერპლის ფასად, ან დავრჩეთ სამყაროს
სიცარიელეში. ვისარგებლოთ იმ ძღვენით,
რასაც საიუბილეო წელი გვაძლევს უხვად!